განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

## სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
3 ივლისი 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი
1 აგვისტო 2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 218076542 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 300 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლელა იოსავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლალი ბერიშვილი (დამსაქმებლის წარმომადგენელი) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თინათინ გაბრიჩიძე (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა წარდგენილ იქნა, როგორც ახალი პროგრამა, თუმცა, ნაწილობრივ, იგი ემყარება სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის უკვე არსებულ გამოცდილებას მასწავლებლის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის და სხვა შესაბამისი პროგრამის განხორციელების ასპექტში.

პროგრამა აგებულია ლოგიკურად, მისი ძირითადი კომპონენტები კარგადაა გააზრებული და მათ აქვთ კარგი შესაძლებლობა, გამოყენებულ იქნენ პროგრამის ეფექტიან საყრდენებად (მიზნები, სწავლის შედეგები, შინაარსი და სტრუქტურა, სწავლების მეთოდები და სხვა).

სტუდენტური მომსახურებები პრინციპში სათანადოდ შემუშავებულია და შეგვიძლია ვივარაუდოთ,რომ ისინი ადეკვატურად მიეწოდებათ სტუდენტებს, შრომითი რესურსები საკმარისია მოცემული მომენტისთვის პროგრამის განსახორციელებლად. იგივე შეიძლება ითქვას მატერიალური რესურსების შესახებაც, ბიუჯეტის ჩათვლით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კარგადაა მომზადებული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა დაიწყო ადგილზე ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე - ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა თვითშეფასების ანგარიში და შესაბამის პროგრამასთან დაკავშირებული ბევრი სხვა დოკუმენტი, და მან ეს მასალები შეისწავლა. წინასწარი შესწავლის პერიოდის შემდეგ, ჩვენ, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, გვქონდა შესაძლებლობა გაგვემართა შეხვედრა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) შენობაში თბილისში, 2018 წლის 2 ივლისს, სადაც მივიღეთ NCEQE-ის პერსონალის მიერ წარმოდგენილი სასარგებლო ინფორმაცია.

ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 3 ივლისს. ვიზიტის განმავლობაში, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, გავსაუბრებოდით უნივერსიტეტის (და არა მარტო) პერსონალის ყველა შესაბამის ჯგუფს. კონკრეტულად, ჩვენ გავესაუბრეთ უნივერსიტეტის უმაღლესი ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებს (რექტორისა და კანცლერის ჩათვლით), თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის წევრებს, მოწვეულ ლექტორებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების ხელმძღვანელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტებს, დეკანს. ამასთანავე, გვქონდა შესაძლებლობა დაგვეთვალიერებინა ტერიტორია, მათ შორის, ბიბლიოთეკა. ვიზიტის განმავლობაში დახმარება აღმოგვიჩინეს NCEQE-ს წარმომადგენლებმა.

მიგვაჩნია, რომ მთლიანი პროცედურა დაგვეხმარა პროგრამის საფუძვლიანად გაცნობაში და მის შეფასებაში NCEQE-ის მიერ შემუშავებული და გამოყენებული სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2-მეტწილად შსაბამისობაშია

მოთხოვნებთან

სტანდარტი 3- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4-მეტწილად შსაბამისობაშია

მოთხოვნებთან

სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები
  - გადახედეთ კურსის სილაბუსს, რათა ის შესაბამისობაში იყოს სასწავლო გეგმასა და წინაპირობებთან.
  - განსაზღვრეთ წინაპირობები ინგლისური ენის კურსისათვის და ასახეთ მისი გამჭვირვალობა სილაბუსში.
  - აქცენტი გააკეთეთ პერსონალის სისტემატურ ტრენინგზე სწავლების მეთოდოლოგიის საკითხებზე, კვლევით უნარებზე, ინგლისური ენის კომპეტენციაზე.
  - დანერგეთ სტრატეგია მზარდი თაობათა ცვლის პრობლემის გადასაჭრელად- პერსონალის საკითხები.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - o გაასწორეთ ზოგიერთი ფაქტობრივი შეცდომა სილაბუსებში, როგორიცაა კურსის საფეხურის სპეციფიკაციები.
  - o ყველა კურსში აქცენტი გააკეთეთ სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდოლოგიაზე.
  - o განიხილეთ პერსონალისთვის სასწავლო კურსების შეთავაზების შესაძლებლობა სტუდენტთა შეფასების უნარებისა და მეთოდების შესწავლის მიზნით.
  - o უზრუნველყავით პერსონალისთვის სიტემატური ტრენინგი ზედამხედველობის საკითხებზე.
  - o ჩამოაყალიბეთ უფრო რთული საინფორმაციო სისტემა სწავლისა და ადმინისტრაციული პროცესების მხარდასაჭერად.
  - o დანერგეთ პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმი.
  - o მიეცით აკადემიურ პერსონალს პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.
  - o დანერგეთ ხარისხის უზრუნველყოფის უფრო დივერსიფიცირებული ფორმები.
  - o დანერგეთ ხარისხის უზრუნველყოფის უფრო დივერსიფიცირებული ფორმები ,,თანატოლთა მხარდაჭერის'' სქემის შემოღებით უნივერსიტეტში.
  - o მიმართეთ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კვლევებზე, ადმინისტრაციასა და ინტერნაციონალიზაციაზე პროგრამისა და მისი განვითარების ასპექტში.
  - o დანერგეთ "თანატოლთა შეფასების" პრაქტიკა საქართველოს სხვა

უნივერსიტეტების მიერ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზნები ნათლად და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, ისინი განსაზღვრავენ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომლებიც უნდა განუვითარდეთ მაგისრატურის სტუდენტებს- მომავალ დაწყებითი განათლების მასწავლებლებს, ამასთანავე, მიზნების ქვეშ იგულისხმება მასწავლებლის საქმის სირთულეც- ის არა მარტო კონკრეტულ საგანს ასწავლის დაწყებით დონეზე, არამედ მოქმედებს, როგორც მასწავლებელი, რომლის როლიც ცდება საკლასო ოთახში სწავლების ფარგლებს.<br>პროგრამა მიზნად ისახავს მომავალი მასწავლებლების მომზადებას, თუმცა, ამასთანავე, ის მყარი საფუძველია სწავლის გასაგრძელებლად დოქტორანტურაზე.<br>ამგვარად, პროგრამა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფასეული კონტრიბუცია დაწყებითი განათლების სფეროს (მომსახურების წინა ეტაპი) განვითარებისთვისა და შრომის ბაზრის (სასკოლო სისტემები) საჭიროებებისათვის, რაც ამჟამად არსებობს ქვეყანაში. შესაბამისად, პროგრამა, შესაძლოა, ჩავთვალოთ პოტენციურ კონტრიბუციად მთლიანად საზოგადოებისათვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o თვითშეფასების ანგარიში,<br>o პროგრამის აღწერა,<br>o ინტერვიუები ვიზიტის |
| **რეკომენდაციები:**<br><br>o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სწავლის შედეგები, პრინციპში, მისაღებადაა ჩამოყალიბებული. პროგრამის ცხრა სწავლის შედეგი ფოკუსირებულია საჭირო ცოდნაზე, უნარებსა და გარკვეულ კომპეტენციაზე, ისინი, ასევე, მოიცავენ პასუხისმგებლობის გრძნობას და ავტონომიას, რაც განუვითარდებათ სტუდენტებს პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ. ხსენებული სწავლის შედეგები მოიცავენ მასწავლებლის პროფილის ძირითად სფეროებს და მის ფუნქციონირებას სკოლაში და სკოლის გარეთ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებობდეს მკაფიო კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და ინდივიდუალური კურსების სწავლის |

შედეგებს შორის. გეგმა ასახავს მათ შორის მჭიდრო კავშირს, დაგეგმილია მუდმივი მონიტორინგი და შეფასება სწორი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.
სახეზეა ნათელი წარმოდგენა იმისა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი და როგორ უნდა იქნეს გამოყენებული შეფასების შედეგები პროგრამის შესაძლო განვითარებისათვის.

ინტერვიუების დროს ცხადი გახდა, რომ პროგრამის გუნდმა გაითვალისწინა და პროგრამაში შეიტანა რეგიონული სკოლების ხელმძღვანელების, მოქმედი მასწავლებლების, კურსდამთავებულებისა და სტუდენტების საჭიროებანი და მოსაზრებები. ჩატარდა საჭიროებათა კვლევა შრომის ბაზრის მოსარგებად დასაქმებულთა საჭიროებებზე, ასევე სტუდენტებისა და მოქმედი მასწავლებლების საჭიროებების პროგრამაში ასახვის მიზნით. პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და ფასეულობებს, რაც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ პროგრამის დასრულების შემდეგ. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ნამდვილად უზრუნველყოფილია სტუდენტებთან უკუკავშირი მათ მოსწრებასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილმა საგანმანათლებლო პროგრამამ მკაფიოდ ჩამოაყალიბა მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს. დაშვების კრიტერიუმები სრულად ითვალისწინებს პროგრამის თავისებურებებს და დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სავარაუდოდ, მომავალ სტუდენტებს ჩაბარებული აქვთ ერთიანი

ეროვნული გამოცდები ან შეესაბამებიან დაშვების საკანონმდებლო მოთხოვნებს. ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და პროგრამის კატალოგში. ამასთან ერთად, პროგრამის კოორდინატორი მართავს ინდივიდუალურ პრეზენტაციებს დაინტერესებულ პირთათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დაშვების წინაპირობები
- პროგრამის კატალოგი
- ვებგვერდი

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

| |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ზოგადად, პროგრამის ყველა კურსს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული წინაპირობები და პროგრამის შესაბამისი პროცედურები. ერთადერთი გამონაკლისია: ,,ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი -1". კურსზე დაშვების წინაპირობები შემდეგნაირად გამოიყურება: ,,სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ,,საბაზისო ინგლისური-2" და ფლობდეს ინგლისური ენის ცოდნის A 2 დონეს." ეს ინფორმაცია გაუგებარი/ორაზროვანია, რადგან აქ არ არის დაკონკრეტებული, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი სერთიფიკატი თუ მოუწევს გამოცდის ჩაბარება ამის დასადასტურებლად.<br><br>პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევების შედეგად მიღებულ დასკვნებს და სფეროში არსებულ მიღწევებს. მაგალითად, პროგრამა შეიცავს კურსს: ,,წიგნიერება დაწყებით საფეხურზე", ,,მათემატიკის სწავლების ინოვაციური მეთოდები", (კურსი ეფუძნება საქართველოს დაწყებითი განათლების პროგრამის-G-PRIED-ის მიერ მიწოდებულ მასალებს), ,,ინკლუზიური განათლება", ,,მულტი-კულტურული განათლება" და ა.შ. პროგრამა მოიცავს განახლებულ „სასკოლო პრაქტიკის მოდულს" და პედაგოგიური პრაქტიკის მოდულს- ,,მოდულის სამოქმედო კვლევა" პროგრამის შინაარსი აკმაყოფილებს სექტორული სამიზნის მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამა<br>o კურსის სილაბუსები<br>o სასწავლო გეგმა<br>o გასაუბრებები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კურსების სწავლის შედეგები ზოგადად თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და კურსის კრედიტები შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. კურსის მასალები შედარებით ახალია და ეფუძნება განათლების სფეროს უახლეს მიღწევებს. თუმცა, არის საკითხები, რომელთა სწრაფი მოგვარებაც აუცილებლობას წარმოადგენს.<br><br>გასაუბრებების მსვლელობის დროს დადგინდა რამდენიმე შეუსაბამობა დოკუმენტაციაში, რომელიც დაწესებულებამ წარადგინა თვითშეფასების ანგარიშთან ერთად. მაგალითად, |

| |
|---|
| წინაპირობების რუქა (დანართი 2), სადაც ჩამოთვლილია თავისუფალი კომპონენტები, შეიცავს კურსს ,,მეტყველების კულტურა", რომელიც, როგორც ეს ვიზიტის დროსაც დავადასტურეთ, ამოღებულ იქნა პროგრამიდან. მიუხედავად ამისა, ხსენებული კურსი რჩება წინაპირობათა რუქაზე. ამასთანავე, თავისუფალი კურსის ,,ზოგადი ფსიქოლოგია" სილაბუსი ემთხვევა კურსის სილაბუსს, რომელიც სავალდებულო კურსის შემადგენელი ნაწილია. ვიზიტის დროს უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ორი ცალკეული სილაბუსი წარმოგვიდგინეს კურსისთვის ,,ზოგადი ფსიქოლოგია" (რომელიც პირველი კურსის პირველ სემესტრში ისწავლება) და ,,განათლების ფსიქოლოგია". კურსის ,,განათლების ფსიქოლოგია"შესახებ წარმოდგენილ პროგრამის მასალებში განსხვავებული ინფორმაციაა: კერძოდ, სილაბუსის მიხედვით, კურსი ისწავლება პირველი კურსის მეორე სემესტრში, ხოლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში ნათქვამია, რომ კურსი ისწავლება მესამე სემესტრში. ბუნდოვანია საკითხი ,,საბაზისო ინგლისური ენა-1" კუსთან დაკავშირებით: კერძოდ, სილაბი განსაზღვრავს კურსს, როგორც სავალდებულოს, რომელიც ისწავლება პირველ სემესტრში, სასწავლო გეგმა კი საერთოდ არ შეიცავს ამ კურსს. სასწავლო გეგმის მიხედვით: ,,სტუდენტი, რომელიც არ ფლობს ინგლისურ ენას A2 (საბაზისო) დონეზე, ვალდებულია ენის შესწავლა დაიწყოს A1 (საბაზისო) ან A2 (საბაზისო) დონიდან უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის გადაწყვეტილების შესაბამისად". თუ რა კურსებს თავაზობს დაწესებულება სტუდენტს, როგორც ,,არჩევითს" იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ფლობს ინგლისურ ენას უფრო მაღალ დონეზე. ინგლისური ენის ფლობის არასაკმარისი დონის გამო, სტუდენტი შეძლებს მხოლოდ 10 კრედიტის დაგროვებას ინგლისური ენის კურსის გავლის შემდეგ, ნაცვლად საჭირო 15 კრედიტისა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კურსის სილაბუსები<br>o საგანმანათლებლო პროგრამა;<br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o სასწავლო გეგმა 2018-2023 |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• გადახედეთ კურსის სილაბუსს და მოარგეთ იგი სასწავლო გეგმას.<br>• განსაზღვრეთ წინაპირობები ინგლისური ენის კურსისათვის და ასახეთ მისი გამჭვირვალობა სილაბუსში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• გადახედეთ კურსის სილაბუსს და მოარგეთ წინაპირობებს. |

- გაასწორეთ ზოგიერთი ფაქტობრივი შეცდომა სილაბუსში, როგორიცაა კურსის დონის სპეციფიკაციები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა მოიცავს პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას პროგრამის ყოველი დონისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამის კვლევით კომპონენტს ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტის პერსონალი.

- o პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიმუშავონ პრაქტიკული უნარები და/ან იყვნენ ჩართულები სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რაც შესაბამისობაში იქნება განათლების დონესთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- o პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.
- o პრაქტიკული კომპონენტისა და/ან სამეცნიერო-კვლევითი პროექტის

ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

- თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, ასევე პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები
- საგანმანათლებლო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

| |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კურსების უმრავლესობის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს და კურსის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.<br>სწავლა-სწავლების მეთოდები განათების დონისა და სწავლის შედეგების ადეკვატურია: ლექცია, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკული მეცადინეობა, სავარჯიშო, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი გამოიყენება სწავლის შედეგების მისაღწევად.<br>სილაბუსი ასახავს შესაბამის სწავლის შედეგებს, რაც შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.<br>თუმცა, საერთო შთაბეჭდილებით, აქცენტი უფრო გაკეთებულია სწავლაზე, სადაც მასწავლებელია ცენტრალური ფიგურა, და არა სტუდენტი.<br><br>o აკადემიური პერსონალი ანგარიშს უწევს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ეს დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, გასაუბრების მონაწილეებმა გაიხსენეს მათი აზერბაიჯანელი ჯგუფელის შემთხვევა, რომელსაც დაწესებულებამ ქართული ენის კურსი შესთავაზა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კურსის სილაბუსები<br>o გასაუბრება სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>ყველა კურსში აქცენტი გააკეთეთ სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდოლოგიაზე. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება** |

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტები ინფორმირებული არიან სილაბუსების შეფასების მეთოდებისა და მექანიზმების თაობაზე სწავლის დაწყების პირველივე დღიდან. კრიტერიუმებს და შეფასების მეთოდებს ადგენს ინდივიდუალური მასწავლებელი, რაც აღწერილია სილაბუსში. დაწესებულებაში სახეზეა გასაჩივრების პროცედურა, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს წარადგინოს პრეტენზია, იხილოს მისი ნაშრომი და განიხილოს ის მასწავლებელთან ერთად.

გასაუბრების მსვლელობის დროს სტუდენტები აღწერენ, როგორ აფასებენ მათ: ყოველი კურსის დასაწყისში მათ მიეწოდებათ ინფორმაცია კურსის შეფასების მეთოდების შესახებ. დავალების ჩაბარების შემდეგ, ლექტორი ამოწმებს ნაშრომს და აძლევს კომენტარებს სტუდენტს. ნებისმიერი პრეტენზია შეფასებასთან დაკავშირებით განიხილება თვითშეფასების ანგარიშთან ერთად და პირადად. სტუდენტები ძირითადად კმაყოფილები არიან შეფასების მექანიზმებით და მათი სურვილისამებრ, შეუძლიათ ინდივიდუალური კონსულტაციები მიიღონ ლექტორისაგან გამოცდის თარიღამდე.

o

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

| |
|---|
| განიხილეთ პერსონალისთვის სასწავლო კურსების შეთავაზების შესაძლებლობა სტუდენტთა შეფასების უნარებისა და მეთოდების შესწავლის მიზნით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| |
|---|
| **3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება** |

| |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
